



ეგზ. N1

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„28“ 11 2014 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის

2011-2013 წლების

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

0139/00

სარჩევი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	4
1. საბიუჯეტო სახსრების კომერციულ ბანკის ანგარიშებზე გადატანა	4
2. ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემები	5
2.1 შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვის ნაკლოვანებები.....	6
2.2 იუსტიციის სახლების მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხები	7
3. იუსტიციის სახლების აღრიცხვის ხარვეზები.....	9
4. სსიპ – სტრატეგიული განვითარების სააგენტოს შექმნა და ლიკვიდაცია.....	11
5. სამინისტროს მიერ გაუთვალისწინებელი ღონისძიების განხორციელება.....	11
6. ავტომატური ჩანაცვლებით გაწეული არაეკონომიური ხარჯი	12
7. შავ სიაში რეგისტრირებულ მეწარმესთან გაფორმებული კონტრაქტი.....	14
8. ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განხორციელებლობა	15
პირობითი მოსაზრება.....	16
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	17
1. ბიუჯეტის შესრულება.....	17
1.1 შრომის ანაზღაურება	18
1.2 მივლინებები.....	19
2. უსასყიდლოდ განხორციელებული სამუშაოები და მოწოდებული საქონელი.....	19
3. განხორციელებული შესყიდვების ხარვეზები	22
4. უცხოურ კომპანიების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებები.....	26
5. ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებები.....	27
5.1 დებიტორული დავალიანება	27
5.2 კრედიტორული დავალიანება	28

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (აპარატის) მიერ 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას;
- არაფინანსური აქტივების მიღება–გასვლის ოპერაციების კანონთან შესაბამისობას;
- შესყიდვების პროცედურების კანონთან შესაბამისობას;
- სახელშეკრულებო პირობების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება სამინისტროს (აპარატის) საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ სამინისტროს აპარატის ზემოთხსენებული საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო რწმუნების მისაღებად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

1. საბიუჯეტო სახსრების კომერციულ ბანკის ანგარიშებზე გადატანა

2011 წლის 30 დეკემბერს, იუსტიციის სახლების დაფინანსების მიზნით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოებს გამოეყო 30 მლნ. ლარი (თითოეულს 15 მლნ. ლარი)¹.

აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი, რომლითაც იუსტიციის სამინისტრო, თხოვნით მიმართავს ფინანსთა სამინისტროს - „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებული 30 მლნ. ლარის (ან ამ თანხის ნაწილის) 2011 წელს სსიპ-სამოქალაქო რეესტრის და სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოებისთვის გამოყოფის თაობაზე (თანაბრად გადანაწილებული). ამავე წერილით, იუსტიციის სამინისტრო ასევე თხოვნით მიმართავს ფინანსთა სამინისტროს, რათა ზემოაღნიშნულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ნება დაერთოთ ამ სახსრების კომერციულ ბანკში გახსნილ კუთვნილ ანგარიშებზე გადატანაზე. აღნიშნული თანხები შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე² თითოეულ სსიპ-ს გადაერიცხა (15 მლნ ლარის ოდენობით) კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნება არასაკმარისი იყო აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისთვის, 2011 წლის 29 დეკემბრის მთავრობის იმავე განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაზრდილია 27,270 ათასი ლარით, 13 მხარჯავი დაწესებულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების აუთვისებელი რესურსების შემცირების ხარჯზე.

2012 წლის 22 თებერვალს³, განხორციელდა იუსტიციის სახლების მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 25 მლნ. ლარის გადატანა (აღდგენა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში (2012 წლის ბიუჯეტის კანონით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის დამტკიცებული 15 მლნ. ლარის ასიგნებიდან 10 მლნ და სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს ასიგნებებიდან მთლიანად 15 მლნ.ლარის გადატანა).აღნიშნული ცვლილებებით სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო არა 30 მლნ. ლარი, არამედ 35 მლნ. ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ სსიპ-ს კომერციულ ბანკში გახსნილ კუთვნილ ანგარიშებზე ჩაერიცხათ ზემოაღნიშნული თანხები, ფინანსური ანგარიშგების ფორმა #4-შიც

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2011 წლის 30 დეკემბრის #176 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #2599 განკარგულება და იუსტიციის სამინისტროს 2011 წლის 26 დეკემბრის #56420 წერილი.

² იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #1958 ბრძანება.

³ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის #281 განკარგულება და იუსტიციის სამინისტროს 2012 წლის 20 თებერვლის #7511 წერილი.

(„ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“) აღნიშნული თანხები ასახული აქვთ საკუთარ შემოსავლებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ვერ იქნება წარდგენილი და პროცენტების კაპიტალიზაციიდან მიღებული შემოსავალიც დაუსაბუთებელია. შედეგად, სსიპ სამოქალაქო რეეტრის სააგენტოს 2011 წლის ფაქტობრივი შემოსავალი შეადგენს არა 73,842 ათას ლარს, არამედ 58,842 ათას ლარს, ხოლო სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს ფაქტობრივი შემოსავალი 41,089 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენს 26,089 ათას ლარს.

დაუსაბუთებელია, ამგვარი ცვლილებების და ტრანზაქციების განხორციელების აუცილებლობა 2011 წლის 30 დეკემბერს, მაშინ როდესაც 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ისედაც იყო გათვალისწინებული ორივე სსიპ-სთვის შესაბამისი ასიგნებები. აღნიშნული ქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო სისტემის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ძირითად პრინციპებს⁴ და წარმოადგენს 2011 წლის ბოლოს აუთვისებელი თანხების ხარჯზე დაუსაბუთებელ ავანსებს.

2. ბიუჯეტის დაგეგმვის სისუსტეები

საანგარიშო პერიოდის წლების მიხედვით სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები საბიუჯეტო კლასიფიკაციის ჭრილში წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)	2011		2012		2013	
დასახელება	თავდაპ. დამტკიცებული	დაზუსტებული	თავდაპ. დამტკიცებული	დაზუსტებული	თავდაპ. დამტკიცებული	დაზუსტებული
სამინისტრო - 26 00. მ/შ	68,700.00	131,911.75	74,000.00	64,127.00	71,400.00	95,850.00
სამინისტროს-აპარატი - 26 01	13,818.00	44,299.53	13,542.00	18,204.80	9,830.00	32,970.00
ხარჯები	11,418.00	37,196.31	11,365.00	15,493.20	9,206.00	9,246.30
შრომის ანაზღაურება	4,569.80	3,907.25	4,629.00	3,745.80	4,628.00	4,629.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,400.00	7,078.63	2,177.00	2,647.00	624.00	624.00
ვალდებულებების კლება	0.00	24.59	0.00	64.60	0.00	23,099.50

2011 წლის აპრილის და ნოემბრის თვეში, ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებების გარდა, წლის განმავლობაში შიდა გადანაწილებების შედეგად დაზუსტებული გეგმის მიხედვით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ასიგნებებმა შეადგინა 7,078.6 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლით განხორციელებული ხშირი ცვლილებები (მათ შორის შიდა კვარტალური) მიუთითებს განსახორციელებელი მშენებლობების დაგეგმვის ხარვეზებზე. კერძოდ:

- 2011 წლის 31 მარტს პირველი კვარტლიდან მე-2 კვარტალში გადატანილია 848 ათასი ლარის ასიგნება⁵;

⁴საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

⁵პირველი კვარტლიდან აუთვისებელი რესურსის მეორე კვარტალში გადატანის მოტივით.

- 2011 წლის 18 აპრილს კანონში ცვლილების შეტანით არასაცხოვრებელი შენობებისთვის გამოყოფილი იქნა 2,000 ათასი ლარი;
- 2011 წლის 30 ივნისს მე-2 კვარტლიდან მე-3 კვარტალში გადატანილია 1,052 ათასი ლარი;
- 2011 წლის 10 აგვისტოს თბილისის პროკურატურის შენობის მშენებლობის ხარჯების დაფინანსების მიზნით აღნიშნული მუხლი გაზრდილია 3,211.6 ათასი ლარით (რაც 2011 წლის ნოემბრის ცვლილებით კანონში იქნა ასახული);
- 2011 წლის 30 სექტემბერს მე-3 კვარტლიდან მე-4 კვარტალში გადატანილი იქნა 2,446 ათასი ლარის ასიგნება⁶;
- 2011 წლის 29 ნოემბერს შიდა გადანაწილებებით ქ. თბილისისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მისაღების მშენებლობის დაფინანსების მიზნით არასაცხოვრებელი შენობების ასიგნებები გაზრდილია 572 ათასი ლარით;
- 2011 წლის დეკემბრის თვეში იუსტიციის სახლების მშენებლობის შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით შიდა გადანაწილებებით სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს (ამჟამად სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) და სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გადატანილი იქნა შესაბამისად 768 ათასი⁷ და 576 ათასი ლარის⁸ ასიგნებები;
- 2011 წლის 30 დეკემბერს, იუსტიციის სახლების დაფინანსების მიზნით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოებისთვის გამოყოფილია 30 მლნ. ლარი (თითოეულს 15 მლნ. ლარი-აღნიშნული საკითხი განხილულია ზემოთ).

2.1 შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვის ნაკლოვანებები

2011 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების ფონდი შიდა გადანაწილებების (5 ცვლილება) შედეგად შემცირებულია 662.5 ათასი ლარით. ამავე მუხლიდან განხორციელებულია კვარტალური გადანაწილებები: პირველიდან მე-2 კვარტალში გადატანილია 209.3 ათასი, მე-2 დან მე-3 კვარტალში-400 ათასი და მე-3-დან მე-4 კვარტალში-210 ათასი ლარი.

ანალოგიურად, 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით შრომის ანაზღაურების მუხლით თავდაპირველად დამტკიცებული ასიგნებები შემცირებულია 883.2 ათასი ლარით. მე-2 კვარტალში გადატანილია 183.5 ათასი და მეორედან მე-3 კვარტალში 318.5 ათასი ლარი.

⁶კვარტალურ განწერაში ცვლილების შეტანის მოტივით.

⁷კვარტალურ განწერაში ცვლილების შეტანის მოტივით.

⁸ძირითადად, სამინისტროს აპარატისა და სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირების ხარჯზე.

⁹სამინისტროს აპარატის, საქართველოს პროკურატურის, სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის, სსიპ- მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სხვადასხვა მუხლების შემცირების ხარჯზე (მათ შორის აპარატის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 402 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე).

2013 წლის განმავლობაში შიდა გადანაწილებებს ადგილი არ ჰქონია. განხორციელებულია მხოლოდ კვარტალური გადანაწილებები: კერძოდ, პირველიდან მე-2 კვარტალში გადატანილია 300 ათასი, მე-2-დან მე-3 კვარტალში 500 ათასი და მე-3-დან მე-4 კვარტალში 500 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული ტენდენცია მიუთითებს წლების მანძილზე ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაზე და შრომის ანაზღაურების მუხლში ხელოვნურად ეკონომიების შექმნაზე შემდგომში სხვა მუხლებსა და სამინისტროს სისტემის სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადასანაწილებლად. რის შედეგადაც, 2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდში შრომის ანაზღაურების მუხლით თავდაპირველად დამტკიცებული ასიგნებები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ხოლო, 2013 წელს, იმის გამო, რომ შრომის ანაზღაურების მუხლით თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა და არც პრემირებისთვის იქნა მიმართული აღნიშნული აუთვისებელი რესურსი, წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 498.9 ათასი ლარი.

შრომის ანაზღაურების მუხლით წარმოქმნილი ეკონომიები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

შინაარსი	ლარებში		
	2011	2012	2013
სულ სამინისტროს სისტემაში	15,301	66,007	809,027
მათ შორის აპარატში	8,756	38,456	498,889
ხვედრითი წილი %-ში.	57	58	62

2.2 იუსტიციის სახლების მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი იყო „იუსტიციის სახლების“ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნებოდა, თუ რომელი (რომელ რეგიონში) იუსტიციის სახლების მშენებლობები იყო დაგეგმილი შესაბამისი მოცულობებისა და განმახორციელებლების მიხედვით.

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (თავდაპირველად დამტკიცებული), იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტების ფარგლებში - „ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა“, კაპიტალური პროექტის (პროგრამული კოდი-2606) განმახორციელებელ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა თბილისის, ფოთის, ხაშურის, გურჯაანის, ოზურგეთის, ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის და ბოლნისის იუსტიციის სახლების (სულ 9 იუსტიციის სახლის ფილიალი) სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების შესრულება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საოფისე ტექნიკითა და ინვენტარით უზრუნველყოფა. იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოების დასრულება დაგეგმილი იყო 2012 წლის ბოლოსთვის. თუმცა, ზემოაღნიშნული იუსტიციის სახლებიდან ფოთის და ხაშურის იუსტიციის სახლებზე 2014 წლის 1

იანვრის მდგომარეობით გაწეულია მხოლოდ 448 ათასი და 1.7 ათასი ლარის სამუშაოები, რომელიც ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე. ახალქალაქის და ბოლნისის იუსტიციის სახლების მშენებლობებისათვის სამუშაოები საერთოდ არ გაწეულა. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი მშენებლობების განუხორციელებლობის ფონზე, 2012 წლის ბოლოს აუთვისებელი დარჩა 4,651.2 ათასი ლარის ვალდებულების რესურსი(მათ შორის: საქონელი და მომსახურების მუხლით 2,207.8 ათასი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით -2,396.3 ათასი ლარი).

ზემოხსენებული განუხორციელებელი პროექტების სანაცვლოდ, დაფინანსდა ლაგოდეხის, წყალტუბოს, ჭიათურის, მცხეთის და ლაზიკის სამშენებლო სამუშაოები (სიტყვიერი განმარტებით დაგეგმილი იყო ლაზიკის იუსტიციის სახლის მშენებლობა, თუმცა შემდეგ გადაწყდა აშენებულიყო ადმინისტრაციული შენობა, რაც სამინისტროს პრიორიტეტებს არ შეესაბამება), რომელთა დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სახლები 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულია როგორც შენობა/ნაგებობები და დაუმთავრებელი აქტივები.

დაგეგმვის ხარვეზი გამოიკვეთა იმ გარემოებითაც, რომ 2011-2012 წლებში გამოცემული მთავრობის განკარგულებების მიხედვით, რომელიც არეგულირებდა იუსტიციის სახლების მშენებლობებთან დაკავშირებით სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი სუბიექტების მონაწილეობის საკითხს, სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს პასუხისმგებლობაც განისაზღვრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სახლების მშენებლობაში სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საკუთარი სახსრებიდან გაწეული წილი მნიშვნელოვანია¹⁰, კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში ამ მიზნით, როგორც განმახორციელებელი, გათვალისწინებული არ ყოფილა. 2013 წლის კაპიტალური პროექტით (პროგრამული კოდი - 26 06) განმახორციელებელ ორგანიზაციებს დაემატა სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროც.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2010-2014 წლებში სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების მონაწილეობით დასრულებული 13 იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაწეულია 188,830 ათასი ლარის ხარჯი¹¹ (სამინისტროს სისტემის გარეთ არსებული ორგანიზაციების მონაწილეობის ჩათვლით კი - 222,002 ათასი ლარი).

ათას ლარებში			
#	ობიექტის დასახელება	გაწეული ხარჯი	მშენ-ის დაწყება/დამთავრება
1	თბილისის იუსტიციის სახლი	108,422	03.02.11-22.09.12
2	ბათუმის იუსტიციის სახლი	19,724	30.11.09-26.05.11
3	რუსთავის იუსტიციის სახლი	1,857	14.06.10-23.06.11
4	მარნეულის იუსტიციის სახლი	6,746	24.01.12-10.09.12
5	გორის იუსტიციის სახლი	10,753	23.12.11-26.09.12

¹⁰მხოლოდ იუსტიციის სახლების მშენებლობის ნაწილში-45,236.8 ათასი ლარი, ხოლო მათი აღჭურვის ჩათვლით- 49,567.4 ათასი ლარი.

¹¹ შენობების აღჭურვის ჩათვლით -დაახლოებით 222 მლნ. ლარამდე.

6	თელავის იუსტიციის სახლი	4,806	11.01.12-16.09.12
7	ოზურგეთის იუსტიციის სახლი	4,747	28.10.11-28.06.12
8	გურჯაანის იუსტიციის სახლი	4,461	20.10.11-27.06.12
9	ახალციხის იუსტიციის სახლი	6,389	03.10.11-08.08.12
10	ქუთაისის იუსტიციის სახლი	9,393	19.04.11-04.10.11
11	მესტიის იუსტიციის სახლი	217	18.03.11-13.09.11
12	ყვარლის იუსტიციის სახლი	3,677	26.06.12-16.09.12
13	ზუგდიდის იუსტიციის სახლი	7,637	29.05.12-06.06.14

შესამოწმებელ პერიოდში, იუსტიციის სახლების საპროექტო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, მათზე საზედამხედველო მომსახურების, შენობაში განსათავსებელი ავეჯის, ტექნიკისა და შენობის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და აღჭურვილობების შესყიდვის მიზნით, ფინანსური რესურსების მობილიზება და განხორციელება რეგულირდებოდა მთავრობის განკარგულებებით, ვადებისა და მოცულობების მითითების გარეშე. ამ მიზნით, მთავრობის მიერ გამოცემული 8 განკარგულებიდან მხოლოდ 4 განკარგულებაშია დაკონკრეტებული ასაშენებელი იუსტიციის სახლის ფილიალის დასახელება (თბილისი, ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, დაბა მესტია)¹². ხოლო სხვა შემთხვევაში (მითითებულია ზოგადად: „იუსტიციის სახლების.....“) დაუსაბუთებელია საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზანი.

3. იუსტიციის სახლების აღრიცხვის ხარვეზები

სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობებისა და დაუმთავრებელი აქტივების რეესტრის მიხედვით, იუსტიციის სახლებზე გაწეული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 167,391.3 ათასლარს. აქედან, დაუმთავრებელი აქტივის სახით ასახულია 143,657 ათასი ლარის და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ანგარიშზე აღრიცხულია 23,734 ათასი ლარის აქტივი.

ქვემოთ მოცემული ცხრილით ირკვევა, რომ ერთი და იგივე იუსტიციის სახლების მშენებლობა განხორციელებულია სამინისტროს სისტემის სხვადასხვა სუბიექტის მიერ, კერძოდ: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

ათას ლარებში						
#	ი/სახლი	აღსრულება	აპარატი	საჯარო	სერვისები	სულ
1	ბათუმის	9,556.21	866.93	4,027.96	3,009.47	17,460.57
2	გორის	9,116.40	-	-	-	9,116.40
3	ზუგდიდის	4.30	-	2,249.16	5.17	2,258.63
4	თბილისის	10,743.62	1,643.24	37,106.48	42,643.80	92,137.13
5	ლაგოდეხი	70.34	-	1.69	-	72.03
6	ლაზიკის	10,351.52	-	-	-	10,351.52
7	ფოთის	2.12	-	475.73	-	477.85
8	ქუთაისის	5,228.77	1,236.12	-	-	6,464.89
9	ყვარლის	3,054.22	70.00	183.99	-	3,308.22

¹² თბილისი, ფოთი, ზუგდიდი - მთავრობის 2013 წლის 17 მაისის #467 განკარგულება; დაბა მესტია - მთავრობის 2011 წლის 11 მარტის #560 განკარგულება; ქ. ქუთაისი - მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის #14 განკარგულება; ქ. ბათუმი - მთავრობის 2011 წლის 24 მაისის #1108 განკარგულება.

10	წყალტუბოს	6.10	-	-	-	6.10
11	ხაშურის	1.69	-	-	-	1.69
12	მესტიის	-	216.86	-	-	216.86
13	ოზურგეთის	-	259.09	-	3,847.74	4,106.83
14	თელავის	-	2,479.21	-	1,994.48	4,473.69
15	ახალციხის	-	298.64	5,055.26	-	5,353.90
16	მარნეულის	-	1,105.52	-	4,917.38	6,022.90
17	რუსთავის	-	-	1,456.39	-	1,456.39
18	ჭიათურის	-	-	1.44	135.97	137.41
19	გურჯაანის	-	-	-	3,767.19	3,767.19
20	მცხეთის	-	-	-	201.12	201.12
სულ:						167,391.31

7 იუსტიციის სახლის შემთხვევაში¹³, ერთიდაიგივე იუსტიციის სახლი სხვადასხვა განმახორციელებლის მიერ ნაწილი აღრიცხულია როგორც დამთავრებული შენობა/ნაგებობა და ნაწილი როგორც დაუთავრებელი აქტივი. მაგალითად:

- ბათუმის იუსტიციის სახლზე გაწეული სამუშაოების სსიპ-საჯარო რეესტრისა და სსიპ-სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ აღრიცხულია შენობა/ნაგებობების #2112 საბალანსო ანგარიშზე და სამინისტროს აპარატისა და სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ - დაუმთავრებელი აქტივის #2140 საბალანსო ანგარიშზე;
- ახალციხის იუსტიციის ფილიალზე გაწეული სამუშაოები, სსიპ-საჯარო რეესტრის მიერ აღრიცხულია შენობა/ნაგებობების ანგარიშზე და აპარატის მიერ-დაუმთავრებელი აქტივის ანგარიშზე;
- ქუთაისის იუსტიციის ფილიალზე სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღრიცხულია დაუმთავრებელი აქტივის ანგარიშზე და აპარატის მიერ - შენობა/ნაგებობების ანგარიშზე და. აშ.

ხშირ შემთხვევაში კონკრეტული იუსტიციის სახლის ფილიალის მშენებლობაში მონაწილეობს სამინისტროს სისტემის 2-4 სუბიექტი (თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში დამფინანსებელი ასევე სამინისტროს სისტემის გარეთ არსებული ორგანიზაციებიც არიან), რაც იწვევს იუსტიციის სახლების აღრიცხვიანობის, ექსპლოატაციაში მიღებისა და უძრავი ქონების სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იუსტიციის სახლების უმრავლესობა არ არის დარეგისტრირებული როგორც სახელმწიფო ქონება და არ არის გადაწყვეტილი სარგებლობის უფლებით მოსარგებლეზე გადაცემის საკითხი. რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2010 წლის #302 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს¹⁴.

¹³ ბათუმი, ქუთაისი, ყვარელი, ოზურგეთი, ახალციხე, მარნეული, რუსთავი.

¹⁴ 2010 წლის 1 ოქტომბრის #302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“. (პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები).

ზემოაღნიშნული პრობლემების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, ერთი დამკვეთის (სსიპ-იუსტიციის სახლის) განსაზღვრის შემთხვევაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სსიპ-ი შეიქმნა 2012 წლის 2 აგვისტოს, 2010 წლიდან დაწყებული იუსტიციის სახლების მშენებლობების და დამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციის, იუსტიციის ფილიალების ბალანსზე აღრიცხვისა და სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხები 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოგვარებული არ ყოფილა.

4. სსიპ – სტრატეგიული განვითარების სააგენტოს შექმნა და ლიკვიდაცია

2012 წლის 22 მაისს¹⁵ იუსტიციის სამინისტროს 26 09 პროგრამული კოდით „ტურისტული, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების კოორდინაცია და მონიტორინგი“ მთავარი პროკურატურის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის შემცირების ხარჯზე, გამოეყო 205.7 ათასი ლარი. წლიური დაზუსტებული გეგმის (141.7 ათასი ლარის) ფარგლებში გაწეული 140.2 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან, 114.2 ათასი ლარის ხარჯი (81.4%) მოდის „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 19 აპრილის #316 ბრძანებულებით შექმნილი სსიპ-სტრატეგიული განვითარების სააგენტო, რომელსაც უნდა უზრუნველყო საქართველოში განსახორციელებელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და იუსტიციის სამინისტროების მიერ განსაზღვრული ცალკეული ტურისტული, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი. სააგენტო ლიკვიდირებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 14 დეკემბრის #1110 ბრძანებულებით. სსიპ-სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების პერიოდში, ქალაქ ლაზიკას პროექტთან დაკავშირებით, იურიდიული მომსახურებისთვის ¹⁶ კომპანია „Dechert Georgia LLC“-ს 2012 წლის 19 დეკემბერს გადაერიცხა 214. ათასი ლარი¹⁷. სულ, აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად არაპროდუქტიულად გაიხარჯა 354.2 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები.

5. სამინისტროს მიერ გაუთვალისწინებელი ღონისძიების განხორციელება

2012 წლის დაზუსტებულ გეგმაში აისახა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის გამოყოფილი 800.0 ათასი ლარი ა(ა)იპ-კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადასაცემად¹⁸. აღნიშნული თანხის გამოყოფის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს 300 სოფელში კომპიუტერული ცენტრების შექმნის, მათი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მთავრობის

¹⁵ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #529. ცვლილების შინაარსი: იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პროგრამული კოდის დამატებისა და სსიპ-სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

¹⁶ კონცეფციის მომზადება, შესაბამისი მოდელის განსაზღვრა, ლაზიკასთან დაკავშირებით მარეგულირებელი ნორმების შემუშავება და ქალაქის განვითარებასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიცემა.

¹⁷ 02.11.12 -#1920 მთავრობის განკარგულების საფუძველზე (უნომრო ხელშეკრულება; თარიღი: 12/11/2012; ანგარიშგაქტურა ეა-05 8400156-19/12/2012).

¹⁸ მთავრობის განკარგულება #1080. 08.06.2012წ; 2012 წლის 15 ივნისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #82.

განკარგულების თანახმად, შესაბამისი სამუშაოების და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება სამინისტროსთვის არ წარმოადგენდა პრიორიტეტს, ა(ა)იპ-ის დაფინანსების აუცილებლობად მიჩნევის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შესაფერისი უწყება (მისი საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე) და დაფინანსებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებით. აღნიშნული სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის საკითხის შესწავლა სცილდება აუდიტის მასშტაბს.

6. ავტომანქანების ჩანაცვლებით გაწეული არაეკონომიური ხარჯი

2011-2012 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული ავტომანქანების ჩანაცვლების შედეგად სამინისტრომ მომწოდებელ კომპანიებს გადაურიცხა 1,204.62 ათასი ლარი. ძირითადად ჩანაცვლებულია პროკურატურის მიერ სამინისტროსთვის გადმოცემული ავტომანქანები, ხოლო ჩანაცვლებით მიღებული 41 ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან 20 ერთეული გადაეცა საქართველოს პროკურატურას. ინფორმაცია ჩასანაცვლებელი და კომპანიების მიერ მოწოდებული ავტომანქანების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში							
მომწოდებელი კომპანიები	ჩანაც- ლი ა/მ	ნარჩენი ღირ-ბა	ჩასანაც. ღირ-ბა	სხვაობა	მოწო დ. ა/მ	მოწ. ა/მ ღირ-ბა	გადახდი ლი თანხა
2011 წ.	62	626.92	588.46	38.46	22	967.45	378.99
შპს "ქარ რენტ ენდ თრეიდ კომპანი"	55	498.93	490.13	8.8	15	652.28	162.15
შპს "კია მოტორს ჯორჯია"	1	13.15	7.7	5.45	1	36.06	28.36
შპს "იბერია ავტო"	4	97.61	86.13	11.48	4	206.03	119.9
შპს "კრეს ავტო ჰაუსი"	2	17.23	4.5	12.73	2	73.08	68.58
2012 წ.	13	238.48	220.11	18.38	19	1045.74	825.63
შპს "ქარ რენტ ენდ თრეიდ კომპანი"	11	236.38	218.01	18.38	17	1,009.72	791.71
შპს "კია მოტორს ჯორჯია"	2	2.1	2.1	0	2	36.02	33.92
2013 წ.	0	0	0	0	0	0	0
სულ	75	865.4	808.57	56.84	41	2,013.19	1,204.62

ინფორმაციის მიხედვით ჩასანაცვლებელი 75 ერთეული ავტომანქანის (მათ შორის 12 ერთეული შეფასებულია მათ ნარჩენ საბალნსო ღირებულებაზე დაბალ ფასად), სანაცვლოდ მომწოდებელი კომპანიებისაგან მიღებულია გაცილებით მეტი ღირებულების 41 ერთეული ახალი ავტომანქანა, რის შედეგადაც მომწოდებლებისათვის გადარიცხულია 1,204.62 ათასი ლარის ფასთა სხვაობა.

სულ 2011-2012 წლებში სამინისტროს ზემოაღნიშნულ კომპანიებთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული აქვს 18 ხელშეკრულება. მათ შორის, შპს „ქარ რენტ ენდ

თრეიდ კომპანიისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁹ მიხედვით, სამინისტრომ კომპანიას გადასცა 708.14 ათასი ლარის ღირებულების 66 ერთეული ავტომანქანა, სანაცვლოდ კომპანიამ სამინისტროს მიაწოდა 1,662 ათასი ლარის ღირებულების 32 ერთეული ავტომანქანა (ანუ, კომპანიისათვის გადაცემული ავტომანქანების ღირებულებამ შეადგინა მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 43%). შესაბამისად, სამინისტრომ კომპანიას გადაურიცხა 953.9 ათასი ლარის ფასთა სხვაობა, რაც მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 57%-ს შეადგენს. აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების²⁰ მიხედვით, სამინისტროს მიერ ფასთა სხვაობის შესავსებად გადარიცხული თანხის თანაფარდობა, კომპანიის მიერ მიწოდებული ავტომანქანების ღირებულებასთან მიმართებაში მერყეობს 89-99%-ის ფარგლებში. ანალოგიურად, შპს "იბერიაავტოსთან", შპს "კრეს ავტო ჰაუსთან" და შპს "კიამოტორს ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით²¹ პროცენტული თანაფარდობა 84-94%-ის ფარგლებშია.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული ავტომანქანების ჩანაცვლების შედეგად მიღებული პროცენტული მაჩვენებლები მიუთითებს²² საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე ტენდერის გვერდის ავლით. ელექტრონული ვაჭრობისას (კონკურენციის პირობებში) კი შესაძლებელი იქნებოდა ტენდერში უპირატესობის მოსაპოვებლად პრეტენდენტების მიერ ფასების მკვეთრად დაწევით ეკონომიის მიღწევა.

2011-2012 წლებში აღნიშნული ოპერაციებით სულ შუამავალი რგოლის ჩართვით სამინისტროს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 59.39 ათასი ლარი. კერძოდ:

- შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გაირკვა, რომ 2011 წელს აღნიშნულ კომპანიას სამინისტროს აპარატისთვის მიწოდებული 15 ერთეული ავტომანქანა შეძენილი ჰქონდა 628.3 ათას ლარად: 14 ერთეული შეძენილია ს.ს. „ჰიუნდაი ავტო საქართველოსგან“ 563.5 ათას ლარად, ხოლო 1 ერთეული-შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“- 64.8 ათას ლარად. აღნიშნული ავტომობილები კომპანიამ სამინისტროს მიაწოდა 652.3 ათას ლარად. შესაბამისად, ადგილობრივ ბაზარზე შუამავალი კომპანიის საშუალებით ა/მანქანების შესყიდვით სამინისტრომ არაეკონომიურად გახარჯა 20.31 ათასი ლარი (სხვა ხარჯების²³ გათვალისწინებით).
- ანალოგიურად, 2012 წელს შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანის“ მიერ სამინისტროსთვის მიწოდებული 17 ერთეული ავტომანქანა კომპანიას შეძენილი ჰქონდა ავტომანქანების იმპორტიორი სხვადასხვა ფირმებისგან (შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი", შპს "კია მოტორს ჯორჯია", შპს "ჯი-თი-მოტორსი", ს.ს. „ჰიუნდაი ავტო საქართველო“) 968.4 ათას ლარად, რომელიც სამინისტროს მიჰყიდა 1,009.72 ათას ლარად. მოწოდებლის მიერ გაწეულმა

¹⁹ 2011 წელს - 4 ხელშეკრულებად 2012 წელს-8 ხელშეკრულება.

²⁰ #216-05/07/11; #246-16/08/2012; #25324/08/2012; #269-28/09/2012; #276-05/11/2012; #301- 05/12/2012.

²¹ #348- 08/12/11; #318- 18/11/11; #302-05/12/2012.

²² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

²³ მომწოდებლის მიერ გაწეულმა სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯმა შეადგინა 5.44 ათასი ლარი. 2011 წელს ჩანაცვლებული 55 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან 14 ერთეული კომპანიას ჩაბარებული აქვს ჯართში-ერთი ტონა 236 ლარად (7.4ტ*236=1,746.4ლარი).

სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯმა შეადგინა 2.24 ათასი ლარი. შესაბამისად, არაეკონომიურად გაწეულია 39.08 ათასი ლარის ხარჯი.

აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ასევე გამოვლინდა, რომ 2011-2012 წლებში ჩანაცვლებული 66 ერთეული ავტომანქანიდან 46 ერთეულის²⁴ რეალიზაციით შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანიმ“ მიიღო 157.7 ათასი ლარის მოგება. სამინისტროს მიერ ავტომანქანები ძირითადად გადაცემულია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, თუმცა ექსპერტის მიერ შეფასებული ავტომანქანები საბაზრო ფასზე 62.2%-ით ნაკლებია. კერძოდ, ცხრილში მოცემული 42.1 ათას ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 5 ავტომანქანა შეფასებულია 25.7 ათას ლარად, ხოლო მათი რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 41.9 ათასი ლარი, რის შედეგადაც კომპანიამ მიიღო 16.2 ათასი ლარის მოგება:

ლარებში						
ხელშეკრულება	მარკა	გ/წელი	ნარჩ. ს/დ	შეფასებული	სარეალიზ/დ	მოგება
#216; 05/07/11	MERCEDES-BENZ	1993	3,401	3,300	4,970	1,670
#255; 05/09/11	HYUNDAI-TERRACAN	2006	17,660	8,300	16,570	8,270
#162; 30/04/12	HYUNDAI-TUCSON 2.7	2007	14,969	11,500	16,520	5,020
#162; 30/04/12	VOLKSWAGEN VENTO 1.8	1992	3,075	1,300	1,794	494
#162; 30/04/12	OPEL VECTRA A 2.0	1991	3,024	1,300	2,000	700
			42,129	25,700	41,854	16,154

7. შავ სიაში რეგისტრირებულ მეწარმესთან გაფორმებული კონტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრეტენდენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან არაკეთილსინდისიერ პრეტენდენტთა რეესტრში (ე.წ. შავ სიაში), შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები.

აუდიტით გამოვლინდა, 2011 წლის 5 სექტემბრიდან შავ სიაში რეგისტრირებულ მეწარმესთან გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულების გაფორმების ერთი ფაქტი. კერძოდ, ი/მ „ალიოშა ცერცვაძესთან“, 2012 წლის 16 იანვარს ქ. თბილისის პროკურატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება 14,000 ლარზე, რომელიც მოიცავდა 2012 წლიდან 16 იანვრიდან 29 თებერვლამდე პერიოდს. რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს²⁵.

ასევე, ზემოხსენებული შესყიდვა იყო არაეკონომიური, რადგან იმავე მომსახურებაზე 2012 წლის პირველი მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტენდერის შედეგად შპს „სი თი ეს ჯგუფ“-თან გაფორმდა ხელშეკრულება 53,700 ლარზე (საშუალოთვიური ღირებულებით-5,370 ლარი). მაშინ

²⁴2011 წელს-38 და 2012 წელს - 8 ერთეული.

²⁵„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

როდესაც, შავ სიაში არსებულ მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საშუალოთვიური ღირებულება შეადგენდა 9,333 ლარს (14000/1,5). შესყიდვის გამარტივებულმა ფორმამ მომსახურება გააძვირა 74%-ით.

8. ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა

სამინისტროს აპარატში ბოლო წლებში ქონების და მოთხოვნა/ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ამ მხრივ, შედარების აქტები არ გაფორმებულა და არ იყო გადაწყვეტილი საკითხი მათი შემდგომი აღრიცხვის/დაფარვის შესახებ. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ბოლო ინვენტარიზაცია დაწყებული იყო 2009 წელს, რომელიც არ დასრულებულა. ინვენტარიზაციის ჩატარებლობის მიზეზად სახელდება იუსტიციის სახლების მშენებლობის (პრიორიტეტულობიდან გამომდინარე) პროცესში ეკონომიკური დეპარტამენტის აქტიური ჩართულობა²⁶. თუმცა, აღნიშნული ფუნქცია ეკონომიკური დეპარტამენტის დებულებით გაწერილი არ ყოფილა.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იუსტიციის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 2009-2010 წლებში გადმოცემული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, რომლის ფაქტიური მოსარგებლე დაუსაბუთებელია:

- 1) ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №116, 2 სართულიანი შენობა, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება №1, 17.02.09 (არასასოფლო-სამ. ნაკვეთის ფართი 3544,18 კვ.მ, შენობის ფართი 1241კვ.მ)- გადმოცემის თარიღი-16.03.09;
- 2) ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №11, მიწის ნაკვეთი 763 კვ.მ, მასზე განთავსებული შენობა 455 კვ.მ, ავტოფარეხი 225,39 კვ.მ, №3 ფართით 54,71 კვ.მ გადმოცემის თარიღი-23.12.09;
- 3) ლანჩხუთი, თბილისის ქ. №5, ორსართულიანი შენობა, საერთო ფართი 670.2 კვ.მ- გადმოცემის თარიღი 27.07.09;
- 4) ქ. თეთრიწყარო, ჭავჭავაძის ქ. №2, ორსართულიანი შენობა, 1192,9 კვ.მ- გადმოცემის თარიღი 16.04.10;
- 5) ქ. ფოთში, ლოლუას ქ. №7 მიწისნაკვეთს (1810 კვ.მ) შენობა-ნაგებობით (853,7 კვ.მ) - გადმოცემულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ 28.04.09წ. ღირებულების გარეშე.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით მათთვის არ არის ცნობილი აღნიშნული შენობების დანიშნულება. შესაბამისად, აღნიშნული შენობა-ნაგებობების სამინისტროს აპარატის ბალანსზე არსებობა (ფაქტიური მოსარგებლეობა) დაუსაბუთებელია.

2014 წლის 27 იანვრის #83 ბრძანებით²⁷ შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული აქტივებისა და

²⁶ რაც ეკონომიკური დეპარტამენტის თანამშრომელთა ქვეყნის შიგნით ხშირი მივლინებებითაც დასტურდება.

²⁷ ცვლილება #863. 27 / ივნისი / 2014 წ, რომლის მიხედვითაც ინვენტარიზაციის პერიოდი განისაზღვრა 2014 წლის 1 თებერვლიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე.

ვალდებულებების, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგებისა და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით. ინვენტარიზაცია მიმდინარეობდა შემოწმების პერიოდშიც, რომელიც აუდიტის პერიოდში არ დასრულებულა. თუმცა, ინტენსიურად მიმდინარეობდა იუსტიციის სახლებთან დაკავშირებით სახელმწიფო რეგისტრაციის და სხვა საკითხების მოგვარება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის დასრულებამდე სამინისტროს აპარატზე ინვენტარიზაციის დასრულებამდე რიცხული აქტივების ფაქტობრივ არსებობაზე რწმუნება ვერ მოვიპოვეთ ²⁸.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებს.

²⁸ აღნიშნულით არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.




სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. ბიუჯეტის შესრულება

დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ფარგლებში სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულება წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში	2011		2012		2013	
დასახელება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება
სამინისტრო - 26 00. მ/შ	131,911.8	130,459.9	64,127.0	59,272.4	95,849.9	74,984.6
სამინისტროს-აპარატი 26 01	44,299.5	44,222.8	18,204.8	17,947.0	32,969.9	31,009.5
ხარჯები	37,196.3	37,132.1	15,493.2	15,254.2	9,246.3	7,740.4
მ/შ შრომის ანაზღაურება	3,907.3	3,898.5	3,745.8	3,707.4	4,628.9	4,130.0
საქონელი და მომსახურება	11,724.5	11,688.4	8,327.9	8,148.2	3,874.9	3,231.6
სოც.უზრუნველყოფა	53.0	50.1	72.0	62.4	80.0	31.7
სხვა ხარჯები	21,511.6	21,495.2	3,347.5	3,336.2	662.5	347.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,078.6	7,066.1	2,647.0	2,628.2	624.0	173.1
ვალდებულებების კლება	24.6	24.6	64.6	64.6	23,099.6	23,096.0

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯის ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში:



1.1 შრომის ანაზღაურება

პროგრამების მიხედვით შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული გადასახდელების მაღალი ხვედრითი წილის ამინისტროს მთლიან შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში მოდის საქართველოს პროკურატურაზე-სამივე წელზე საშუალოდ 65% და სამინისტროს აპარატზე-16%.

ათას ლარებში	2013		2012		2011	
დასახელება / პროგრამული კოდი	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება
26 00 - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	30,479.90	29,670.87	24,064.70	23,998.70	21,865.80	21,850.50
რიცხოვნობა		1671		1875		1713
26 01 - სამინისტროს ცენტრალური აპარატი	4,628.90	4,130.01	3,745.80	3,707.40	3,907.30	3,898.50
რიცხოვნობა	316	147	316	144	316	161
26 02 - საქართველოს პროკურატურა	20,110.20	20,108.74	15,259.80	15,244.80	14,545.00	14,541.00
რიცხოვნობა		830		846		830

სამინისტროს აპარატის (26 01) მოსამსახურეთა რიცხოვნობა 2011-2012-2013 წლებში ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი განაცხადების მიხედვით განსაზღვრული იყო 316 ერთეულით -2011 წელს-4,569.8 ათასი, 2012 წელს- 4,629 ათასი და 2013 წელს-4,628.9 ათასი ლარის შრომის ანაზღაურების ფონდით (საპრემიო ფონდის გარეშე), რაც შესაბამისი წლების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით იქნა დამტკიცებული.

წარდგენილი განაცხადების მიხედვით, აპარატის საშტატო ნუსხა გაწერილია (გაშლილია) სრული საშტატო რიცხოვნობის (316 ერთეული) თითოეულ პოზიციაზე კონკრეტული თანამდებობრივი სარგოს მითითებით, ისე, რომ ჯამები შეადგენს შრომის ანაზღაურების ფონდს. სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ფორმის მიხედვით საშტატო განრიგი წარმოდგენილია მხოლოდ პოზიციების და თანამდებობრივი სარგოების 5 საფეხურიანი შკალის რანგირებით და მასში არ არის მითითებული საშტატო რიცხოვნობა. ხოლო, სამინისტროს მიერ შიდა ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა წარმოდგენილია აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით საშტატო რიცხოვნობის მითითებით (თანამდებობრივი სარგოების გარეშე). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხა, რომელიც თანხმდება მთავრობასთან და აგრეთვე შესაძლებელია დამტკიცდეს შიდა ბრძანებითაც, წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი სახით. კერძოდ, სრული საშტატო რიცხოვნობის და თითოეულ პოზიციაზე თანამდებობრივი სარგოს მითითებით.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ 2012 წლის 28 თებერვლის #27 ბრძანებით დამტკიცებული ცენტრალური აპარატის თანამდებობრივი სარგოები, რაც საჭიროებდა მთავრობასთან შეთანხმებას, სამინისტროს მიერ შეთანხმებულია მხოლოდ 2013 წლის 24 აგვისტოს²⁹.

²⁹ მთავრობის 2013 წლის 24 აგვისტოს #1043 განკარგულება.

წლების მიხედვით დამტკიცებული - 316 ერთეული საშტატო ნუსხის ფარგლებში, ვაკანსიების საშუალო ოდენობა შეადგენდა 2011 წელს-161, 2012 წელს-144 და 2013 წელს - 147 ერთეულს, რაც წლების განმავლობაში მოსამსახურეთა პრემირებაზე აისახებოდა³⁰.

პრემიის ხელფასთან თანაფარდობა 2011 წლის განმავლობაში მერყეობს 39%-დან 134%-მდე, 2012 წელს - 39%-დან 136%-მდე, 2013 წელს - 35%-დან 226%-მდე.

პასუხისმგებელი პირების ზეპირი განმარტებით, წლების მანძილზე აღნიშნული ტენდენცია პრემირებასთან დაკავშირებით განპირობებულია კვალიფიციური კადრების შენარჩუნების და მოზიდვის მოტივით.

1.2 მივლინებები

2011-2012-2013 წლების საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა „მივლინების“ ქვემუხლით გახარჯა 1,183.2 ათასი ლარი. მათ შორის: 2011 წელს ქვეყნის შიგნით- 112.9 ათასი, ქვეყნის გარეთ - 247.6 ათასი ლარი; 2012 წელს ქვეყნის შიგნით-122.5 ათასი, ქვეყნის გარეთ-261.3 ათასი ლარი; 2013 წელს ქვეყნის შიგნით-54.0 ათასი, ქვეყნის გარეთ - 384.9 ათასი ლარი.

მივლინების ხარჯების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყნის შიგნით მივლინების შესახებ ბრძანებებში ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი მივლინების მიზანი და მითითებულია ზოგადი მოტივი „სამსახურობრივი აუცილებლობიდან/საჭიროებიდან გამომდინარე“. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს აღრიცხვის შიდა ელექტრონული სისტემა. აღნიშნულ სისტემაში შესაბამისი პირი აფიქსირებს მივლინების მიზანს. მივლინების შესახებ ბრძანება დგება ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ინფორმაციის მიხედვით, შესაბამისად ბრძანებაში ზოგადი შინაარსის არსებობა გამოწვეულია პროგრამის არასრულყოფილი შევსებით. ქვეყნის შიგნით მივლინებებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები/ანგარიშები, სადაც დაფიქსირებული იქნება სამსახურობრივი აუცილებლობიდან გამომდინარე თუ რა სამუშაოები/დავალებები იქნა შესრულებული მივლინებული პირის მიერ. შესაბამისად დაუსაბუთებელია მივლინების აუცილებლობა და საჭიროება.

2. უსასყიდლოდ განხორციელებული სამუშაოები და მოწოდებული საქონელი

სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2011 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 48,586.1 ათასი ლარის არაფინანსური აქტივი. სააღრიცხვო პერიოდში 17,670.7 ათასი ლარის ღირებულების შესაბამისი აქტივების მიღებისა და 9,529.3 ათასი ლარის გასვლის შედეგად, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ღირებულებამ შეადგინა 56,727.5 ათასი ლარი.

³⁰ ხელფასის და პრემიის წილი მთლიან შრომის ანაზღაურებაში შეადგენს: 2011 წელს-63.9 და 36.1%-ს; 2012 წელს-59.1 და 40.9 %-ს და 2013 წელს-55 და 45%-ს.

2011 წელს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სამინისტროს აპარატისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 4,557.6 ათასი ლარის აქტივებიდან 872.9 ათასი ლარის აქტივი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოს. კერძოდ:

- შპს „მგუ“-ს მიერ მარნეულის და თბილისის იუსტიციის სახლების მშენებლობაზე 520 ათასი ლარის 416 ტონა მეტალის (არმატურის) უსასყიდლოდ მიწოდება. აღნიშნული სამუშაოები, აპარატის ბალანსზე ირიცხება როგორც დაუმთავრებელი აქტივი³¹;
- შპს „თემა“-ს მიერ პროკურატურის სატრენაჟორო დარბაზის კაპიტალურ რემონტზე უსასყიდლოდ გაწეული 92.4 ათასი ლარის სამუშაოები კაპიტალიზებულია და ასახულია არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ანგარიშზე. ასევე პროკურატურის სატრენაჟორო დარბაზისთვის უსასყიდლოდ გადაცემულია 7.4 ათასი ლარის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი³²;
- იმ "გიორგი კანდელაკისგან" უსასყიდლოდ მიღებულია 223.9 ათასი ლარის საკანცელარიო საქონელი, საიდანაც პროკურატურისთვის გადაცემულია 111.5 ათასი და სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის 93.1 ათასი ლარის საქონელი.

2012 წლის სააღრიცხვო პერიოდში 17,806.6 ათასი ლარის ღირებულების შესაბამისი აქტივების მიღებისა და 14,729.3 ათასი ლარის გასვლის შედეგად, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ღირებულებამ შეადგინა 59,804.9 ათასი ლარი.

2012 წელს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სამინისტროს აპარატისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 6,508 ათასი ლარის აქტივებიდან 1,140.6 ათასი ლარის აქტივები მიღებულია იმავე დონის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, 51.8 ათასი ლარი - შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მარაგები, ხოლო 5,316 ათასი ლარის აქტივი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან მიღებულ ნებაყოფლობით ტრანსფერს. კერძოდ:

- შპს „იუ-ჯი-თის“ მიერ უსასყიდლოდ გადმოცემულია 7 ცალი 3.1 ათასი ლარის IP ტელეფონი, საიდანაც 1 ცალი (0.8 ათასი ლარის) უსასყიდლოდ გადაცემულია საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის და 4 ცალი (0.9 ათასი ლარის) სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისთვის“;
- იმ "გიორგი კანდელაკისგან" უსასყიდლოდ მიღებულია 123 ათასი ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და საკანცელარიო საქონელი, საიდანაც პროკურატურისთვის გადაცემულია 59.3 ათასი და სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის 31.7 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობა;

³¹ უნომრო უსასყ. ხელშეკ. 30.12.2011წ.

³² ხელშეკრულება უნომრო-10.09.11. მიღება-ჩაბარება-19.09.11; ხელშეკრულება უნომრო- 02.09.11. მიღება-ჩაბარება-19.09.11.

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ უსასყიდლოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოები³³ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში

კერძო სამართლის ი/პ	თანხა	დაუმთავრებელი მშენებლობა
სულ	5,190	
შპს "ნავიგატორი"	2.0	თბილისის პროკურატურის ახალი ოფისი
შპს "დაგი"	280.7	მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები
შპს "თემა"	271.1	მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები
შპს "ინჟინერი"	523.4	თბილისის პროკურატურის ახალი ოფისი
შპს "ენერჯი"	71.1	ოზურგეთის იუსტიციის სახლი
შპს "არქიტექ. ჯგუფი და პარტნ-ები"	70.0	გურჯაანის და ყვარელის იუსტიციის სახლი
შპს "თბილისახლი"	298.6	ახალციხის იუსტიციის სახლი
შპს "ზიმო"	2,479.2	თელავის იუსტიციის სახლი
შპს "გზა"	449.6	ბათუმის იუსტიციის სახლი
შპს "კონსტრუქცია"	417.3	თბილისის იუსტიციის სახლი
შპს "ხიდმშენი"	139.0	თბილისის იუსტიციის სახლი
შპს "ელექტრიკალსერვის გრუპი"	188.1	ოზურგეთის იუსტიციის სახლი

სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2013 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 59,804.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივი. სააღრიცხვო პერიოდში 2,467.2 ათასი ლარის ღირებულების შესაბამისი აქტივების მიღებისა და 3,650.4 ათასი ლარის გასვლის შედეგად, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ღირებულებამ შეადგინა 58,621.5 ათასი ლარი.

2013 წელს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერსამინისტროს აპარატისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 2,124 ათასი ლარის აქტივებიდან, 14.5 ათასი ლარის აქტივები მიღებულია იმავე დონის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, 19.8 ათასი ლარი -შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მარაგები³⁴. ხოლო, 2,089.8 ათასი ლარის აქტივი წარმოადგენს 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან უსასყიდლოდ შესრულებულ სამუშაოს. კერძოდ:

2012 წლის 18 იანვარს სამინისტროს და შპს „ენსისის“ შორის გაფორმებული უნომრო უსასყიდლო ხელშეკრულების თანახმად, 2013 წლის 5 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ქ. თბილისში იუსტიციის სახლის ავტოსადგომის ფუნდამენტის 1,504.3 ათასი ლარის სამუშაოების უსასყიდლოდ მიღება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა როგორც „ დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“.

³³ ყველა შემთხვევაში გაფორმებულია უნომრო ხელშეკრულება (გარდა შპს „გზისა“, რომელთანაც ხელშეკრულება საერთოდ არ გაფორმებულა) სამუშაოების უსასყიდლოდ მიწოდებაზე. ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები და ფ #2-ები, მ/წ აქტები.

³⁴ გადაცემულია ფინანსთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოსთვის. საქ. იუსტიციის სამინისტროს 16.06.13წ ბრძ.№557; სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა №002139413.

2012 წლის 24 იანვარს სამინისტროსა და შპს „ალგეტს“ შორის გაფორმებული უნომრო უსასყიდლო ხელშეკრულების თანხმად, 2013 წლის 9 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მარნეულის იუსტიციის სახლის და რუსთავის რაიონული პროკურატურის 594.4 ათასი ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების უსასყიდლოდ მიღება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა როგორც „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“.

გარდა ზემოაღნიშნული დაუმთავრებელი მშენებლობებისა, უსასყიდლოდ არის მოწოდებული შპს „მენოინტერნეშნელის“ მიერ 2,000 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ქ.ქუთაისის იუსტიციის სახლისთვის³⁵ და შპს "ნიუ კონსტრაქშენის" მიერ თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის საძირკვლის მოწყობისათვის 557.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო³⁶. აღნიშნული სამუშაოები მ/რ აქტებით სამინისტროს მხრიდან არ არის დადასტურებული, რის გამოც მათი კაპიტალიზაცია ბალანსზე არ განხორციელებულა.

სულ, შესამოწმებელ პერიოდში სამინისტროსთვის (ცენტრალური აპარატი) კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან უსასყიდლოდ მოწოდებულია 8,278.4 ათასი ლარის საქონელი/სამუშაო. მათ შორის: 7,800 ათასი ლარის დაუმთავრებელი აქტივი (სამშენებლო სამუშაოები), 357 ათასი ლარის მატერიალური მარაგი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი, 122 ათასი ლარის პროკურატურის სატრენაჟორო დარბაზის კაპიტალური რემონტი (და დარბაზისთვის სხვადასხვა ინვენტარი). დაუსაბუთებელია კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ უსასყიდლოდ სამუშაოების განხორციელების და უსასყიდლოდ საქონლის მოწოდების მოტივი³⁷.

3. განხორციელებული შესყიდვების ხარვეზები

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2011, 2012 და 2013 წლებში სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე გაწეული საკასო ხარჯი წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

შესყიდვის საშუალება	2011	2012	2013
გამარტივებული შესყიდვა	7,484,363	2,921,495	422,029
ელექტრონული ტენდერი	2,350,702	2,361,944	486,487
გამარტ. ელექტრონული ტენდერი	708,533	1,509,218	473,661
კონკურსი	-	9,800	-
სულ	10,543,598	6,802,456	1,382,177

³⁵ შპს "ვესტინვესტი" მ/რ აქტი სამინისტროს მხრიდან, როგორც სამუშაოს მიმღების, არ არის დადასტურებული, შესაბამისად ბალანსზე აღნიშნული სამუშაოს ღირებულება არ ირიცხება. 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული უნომრო ხელშეკრულება.

³⁶ ხელშეკრულება უნომრო - 30.03.12წ. ფ. #2 წარმოდგენილია 2013 წლის 17 იანვარს, ექსპერტიზის დასკვნა დათარიღებულია 26.02.13. თუმცა მასალებში ვერ მოიძებნა მ/ჩაქტი. შესაბამისად აღნიშნული სამუშაოები ბალანსში არ ასახულა.

³⁷ მხოლოდ შპს „კონსტრუქციის“ მიერ არის წერილობით გამოთქმული სურვილი-წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში: ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 417 ათასი ლარი- შპს „კონსტრუქციის“ მასალებში წარმოდგენილია კომპანიის დირექტორის მოადგილის (მ. ბიკაშვილის) წერილი.

2011-2012 წლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატი სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდა როგორც საკუთარი, ასევე მის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქველწყებო დაწესებულების (საქართველოსპროკურატურის) ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისთვის³⁸. 2013 წლის 1 იანვრიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატი შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის. შესაბამისად, 2011 და 2012 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაწეული ხარჯი მკვეთრად აღემატება 2013 წლის ხარჯს.

შესამოწმებელ პერიოდში სამუშაოების, საპროექტო, საზედამხედველო მომსახურების, შენობებში განსათავსებელი ავეჯის, ტექნიკის და შენობის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და აღჭურვილობის შესყიდვა ხორციელდებოდა მთავრობის განკარგულებების საფუძველზე³⁹ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვადებისა და მოცულობების და ხშირ შემთხვევაში იუსტიციის სახლების ფილიალების მითითების გარეშე. აღნიშნული ტენდენცია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელ შესაბამის სფეროებში სახელმწიფო შესყიდვების მთავარ მიზანს-ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას უგულბელებოფს და ეწინააღმდეგება სახელმწიფო სახსრების რაციონალურად განკარგვის პრინციპებს.

2011-2012 წლებში ზემოაღნიშნული ფინანსური რესურსები ძირითადად მიიმართა როგორც იუსტიციის სახლების, ასევე ქალაქ თბილისის პროკურატურის ახალი ოფისის, საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღების, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურისა და რუსთავის რაიონული პროკურატურის, ყვარლის მუნიციპალიტეტში იუსტიციის სასწავლო ცენტრის დასაფინანსებლად.

4.1 ობიექტების სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ღირებულებისა და ვადების დაზუსტება ძირითადად ხორციელდებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით (ანუ, საპროექტო და მოცულობითი სამუშაოები ხორციელდებოდა პარალელურ რეჟიმში) მხარეებს შორის შეთანხმებით, რაც თავისთავად გამოიწვევდა დაჯარიმების მექანიზმის გამოყენებას. მაგალითად:

- *ქ. ქუთაისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები:*
მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 19.04.11-04.10.11

	ათას ლარებში	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან - იუსტიციის სამინისტროს აპარატი	9%	1,152
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო-საკუთარი სახსრებით	52%	6,241
შპს "სახ. მომსახურებისბიურო"	22%	2,660
შპს "ვესტინგესტი" უსასყიდლოდ-სამშ/სარემ. სამუშ-ები	17%	2,000
		12,053

³⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება N187 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

³⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით). ამ მიზნით 2011 წელს გაწეულია 6,029.6 ათასი და 2012 წელს 487,9 ათასი ლარის ხარჯი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის #14 განკარგულებით, ქ. ქუთაისის იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა, განხორციელდა გამარტივებული წესით, ხოლო შესყიდვისათვის საჭირო ფინანსური რესურსების კოორდინირებული უზრუნველყოფა დაევალი იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ-აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ზემოაღნიშნული 2011 წლის 9 აპრილს გაფორმებული #119 ხელშეკრულების მიხედვით შემსყიდველებად დაფიქსირებულია „შემსყიდველი #1“-საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და „შემსყიდველი #2“-სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო მიმწოდებლად - შპს „მენო ინტერნეიშენელი“. თავდაპირველად ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 7,000 ათასი ლარით და საბოლოო ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო „ექსპერტიზის“ დასკვნების მიხედვით. 2011 წლის ბოლო, 24 ნოემბრის შეთანხმებით⁴⁰ სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 4,332 ათასი ლარი. იუსტიციის სამინისტროს აპარატის ასიგნებებიდან ზემოაღნიშნული სამუშაოებისთვის 2011 წლის 10 მაისს ავანსად გადარიცხულ იქნა 1,000 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები⁴¹ და ფორმა #2-ები შედგენილია ერთობლივად-სამინისტროს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, რომლის ღირებულებამ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეადგინა ბოლო შეთანხმებით განსაზღვრული 4,332 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ იმავე, ქ.ქუთაისის იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სამინისტროსა და შპს „მენო ინტერნეიშენელს“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული უნომრო ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლად წარმოდგენილია „მენო ინტერნეიშენელი“, სამუშაოს მიმღებად სამინისტრო, ხოლო დამფინანსებლად შპს „ვესტ ინვესტი“. ობიექტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2011 წლის 15 ოქტომბერს წარმოდგენილი, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების შესახებ ცნობის თანახმად შესრულებული 6,340 ათას ლარის სამუშაოები⁴² ზუსტად 2 მლნ. ლარით აღემატება 2011 წლის 9 აპრილს გაფორმებულ #119 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას-4,332 ათას ლარს.

- *ხელშეკრულება #304-ქ. თბილისის პროკურატურის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა, მომწოდებელი-შპს „მენო ინტერნეიშენელი“:*

ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 28 ოქტომბერს, მიწოდების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდი, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 254.8 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული ინფორმაციის თანახმად,

⁴⁰ სულ გაფორმებულია 3 შეთანხმება: შეთანხმება #119-1, 29.06.2011, ეხებოდა ვადის 13 დღით გაგრძელებას; შეთანხმება #119-2, 29.07.2011, ეხებოდა ვადის 31.10.11-მდე გაგრძელებას და სამუშაოების ღირებულების 4,340,000 ლარამდე შემცირებას; შეთანხმება #119-3, 24.11.11, ეხებოდა სახელშეკრულებო ღირებულების 4,332,025.99 ლარამდე შემცირებას და დასაკავებელ თანხებს შორის სხვაობის გადახდის ვალდებულებას შემსყიდველი #2-ის მიერ.

⁴¹ #119-1(03.08.2011), #119-2(03.08.2011), #119-3(24.11.2011).

⁴² ასევე წარმოდგენილია 2011 წლის 31 ოქტომბერს შესრულებული სამუშაოების აქტები 2 მლნ ლარზე. მიუხედავად ექსპერტიზის მიერ სამუშაოების დადასტურებისა, სამინისტროს მხრიდან (როგორც მიმღების) - მ/წ აქტი დადასტურებული არ არის.

შემსრულებლის მიერ ფორმა #2 წარმოდგენილია 8 ნოემბერს, წინასწარი ხარჯთაღრიცხვის ცვლილებაზე და შესაბამისად, სახელშეკრულებო თანხაზე შეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილია 2011 წლის 11 ნოემბერს, თანხა კი, ახალი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შემცირდა 250.4 ათას ლარამდე. წინასწარი ხარჯთაღრიცხვა კორექტირებულია ფორმა #2-ის მიხედვით.

- *ხელშეკრულება #260 (16.09.2011)-საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღების შიდა და გარე სამუშაოები, მომწოდებელი-შპს „ინტერიერი“:*

ხელშეკრულება თავდაპირველად გაფორმებულია 123.8 ათას ლარზე, მასში შესულია 2 ცვლილება. პირველი ცვლილება განხორციელებულია შესრულების ვადის ამოწურვამდე 1 დღით ადრე, 2011 წლის 27 ოქტომბერს, მომწოდებელს შესრულების ვადა გაუხანგრძლივდა 5 დეკემბრამდე. 5 დეკემბერს ხელშეკრულების თანხობრივ ნაწილში შევიდა ცვლილება და იგი შემცირდა 112.5 ათას ლარამდე, რაც ემთხვევა მომდევნო დღეს, 6 დეკემბერს მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა #2-ის ღირებულებას.

ხარჯთაღრიცხვა არასათანადოა დაგეგმილი და ცვლილება განხორციელდა შესრულებულ სამუშაოზე მორგებით. ვადის გაგრძელებით, სამუშაოს მიღება დაგვიანებულია თითქმის 40 დღით.

- *ხელშეკრულება #278 (29.09.2011), ქ. თბილისის პროკურატურის ახალი ოფისისთვის ლითონის კიბეებისა და მოაჯირების დამზადებისა და მონტაჟის სამუშაოები, მომწოდებელი-შპს „ელიტა ბურჯი“. სახელშეკრულებო ღირებულება- 73 ათასი ლარი:*

ხელშეკრულებით, მოწოდების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 31 ოქტომბერი, თუმცა 2011 წლის 1 ნოემბრის ცვლილებით ვადა გახანგრძლივდა 30 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე 1 დღით ადრე, კვლავ შევიდა ცვლილება ხელშეკრულებაში და მოწოდების ახალ ვადად განისაზღვრა 22 დეკემბერი. მომწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა #2 წარმოდგენილია 2011 წლის 22 დეკემბერს. ფორმა #2-ის და წინასწარი ხარჯთაღრიცხვის საერთო ღირებულება, ზედნადები ხარჯების და მოგების მარჟის ჩათვლით, ერთმანეთის ტოლია, თუმცა, სამუშაოების თვითღირებულება განსხვავებულია და საბოლოოდ, სხვაობა დაბალანსებულია ზედნადები ხარჯებისა და მოგების მარჟის მაჩვენებლების ცვლილების ხარჯზე. ფორმა #2-ით, ზედნადები ხარჯები დაანგარიშებულია პირდაპირ ხარჯებზე 10%-ის დამატებით, ხოლო წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 22%-ია. მოგების მარჟა წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში არის 12%, ხოლო ფორმა #2-ით კი -5,45%. მომწოდებლის მიერ ფორმა #2 წარმოდგენილია 2011 წლის 20 დეკემბერს. ვადის გაგრძელებით, სამუშაოს მიღება გახანგრძლივებულია 50 დღით. დაუსაბუთებელია ვადის და მარჟის შემცირების მოტივი.

- *ხელშეკრულება #240(11.08.2011), ქ. თბილისის პროკურატურის ახალი ოფისის შენობის გარე ფასადის მოწყობის სამუშაოები, მომწოდებელი-შპს „ლგ გლასს“ სახელშეკრულებო ღირებულება- 753.6 ათასი ლარი:*

ხელშეკრულების თანახმად, მოწოდების ვადადგანისაზღვრა 2011 წლის 21 ოქტომბერი, 2011 წლის 17 ოქტომბერს აღნიშნული ვადა გაგრძელდა 2011 წლის 26 დეკემბრამდე. 2011 წლის 12 დეკემბერს აღნიშნული ვადა კვლავ შეიცვალა და განისაზღვრა 2012 წლის 26 იანვარი. მომწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი ფორმა #2 წარმოდგენილია 2012 წლის 26 იანვარს ვადის გაგრძელებით, სამუშაოს მიღება გახანგრძლივებულია 90 დღით.

- *ქ.თბილისის პროკურატურის ძველი ოფისის და ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის ოფისის შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, ხელშეკრულება #167(07.05.2012), მომწოდებელი-შპს „დ.გ. ევროკომპანი“:*

ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულება იყო 191 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ცვლილება შესულია 2-ჯერ. 2012 წლის 6 ივნისის ცვლილებით, სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 189.4 ათასი ლარით. 2012 წლის 2 ივლისის განხორციელებული ცვლილებით - 200.9 ათას ლარამდე. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 193.2 ათასი ლარით. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2012 წლის 23 ივლისს, თუმცა ხელშეკრულებაში თანხობრივი ცვლილება გაფორმებულია 2012 წლის 30 ნოემბერს, მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი წინ უსწრებს ხელშეკრულების ცვლილების თარიღს.

4. უცხოურ კომპანიების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებები

საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად სასამართლო (საარბიტრაჟო) დავებთან დაკავშირებით (ყოველ კონკრეტულ საერთაშორისო დავასთან) საერთაშორისო იურიდიულ ფირმებთან (White & Case, Dewey & Le Boeuf, Foley Hoag LLP, Matrix Chambers, Dechert Georgia LLC) გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სამინისტროს აკრედიტივები გახსნილი ჰქონდა ეროვნულ ბანკში უცხოურ ვალუტაში. აკრედიტივებზე თანხების შევსების წყაროს წარმოადგენდა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები, ხოლო მასზე თანხის დამატება ხორციელდებოდა იუსტიციის სამინისტროსა და კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. ანაზღაურების (აკრედიტივიდან თანხების ჩამოჭრის) საფუძველს წარმოადგენდა უცხოური კომპანიების მიერ მიმწოდებლების ბანკში წარდგენილი ორიგინალი ანგარიშფაქტურა (ინვოისი), რომელიც დადასტურებულია სამინისტროს მიერ.

წარმოდგენილი მასალებით გამოვლინდა, რომ სულ არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინვესტიციო და ქონებრივ დავებთან დაკავშირებით, ასევე საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების ეფექტიანად დაცვის მიზნით საადვოკატო მომსახურების და ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, 2011-2012-2013 წლებში სამართლებრივი აქტების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან (ფონდებიდან), საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაწეულია 57 მლნ. ლარის და 95 მლნ. აშშ დოლარის (დაახლოებით სულ 215 მლნ. ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) ხარჯი. მათ

შორის საიდუმლო სამართლებრივი აქტების საფუძველზე 2011-2012 წლებში გაწეულია 30 მლნ-ზე მეტი ლარის და 95 მლნ. აშშ დოლარის (დაახლოებით სულ 188 მლნ. ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) ხარჯი. საკითხი განხილულია საიდუმლო ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან მოლაპარაკებების შედეგად საქართველოს მოსარჩელების სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, (მოსარჩელების თავდაპირველი სარჩელის ფარგლებში დავის ოდენობასთან შედარებით) წინა წლებში წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით, 2011-2012-2013 წლებში საქართველოს სახელმწიფომ ბიუჯეტიდან გადაიხადა დაახლოებით 215 მლნ. ლარი.

სამინისტროს აპარატის მთლიან დაფინანსებაში, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი⁴³ ფიქსირდება იმ მუხლებზე („საქონელი და მომსახურება“, „სხვა ხარჯები“ და „ვალდებულებების კლება“), რომლებიც დაკავშირებულია არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინვესტიციო და ქონებრივ დავებთან, შეტანილ სარჩელებზე წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების ეფექტიანად დაცვის მიზნით საადვოკატო მომსახურების შესყიდვებთან, რისთვისაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან (ფონდებიდან) გამოყოფილია 61,825 ათასი ლარი. კერძოდ:

ფონდები	ათას ლარებში			
	2011	2012	2013	სულ
მთავრობის სარეზერვო ფონდი	5,737.00	6,238.50	1,067.80	13,882.00
დავალიან. დაფ. და სასამართლო გადაწყ. აღსრ. ფონდი	21,399.80	3,161.00	23,382.00	47,942.80
	27,137	9,400	24,450	61,825

მათ შორის სამინისტროსთვის საიდუმლო აქტებით გამოყოფილია: 2011 წელს -26,536.7 ათასი ლარი და 2012 წელს - 8,227.4 ათასი ლარი. საკითხი განხილულია საიდუმლო ნაწილში.

5. ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებები

5.1 დებიტორული დავალიანება

სამინისტროს სისტემაში 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება გაზრდილია 11,591 ათასი ლარიდან 20,766.3 ათას ლარამდე (მათ შორის ცენტრალურ აპარატში- 310 ათასი ლარიდან შემცირებულია 73.8 ათას ლარამდე). მთლიანი დავალიანების თითქმის 100% ირიცხება სსიპ-ებზე 20,676.7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 37.1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება მომდინარეობს 1996-2010 წლებიდან. აღნიშნული წარმოადგენს ხანდაზმულ დავალიანებებს და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება საცნობარო მუხლში გადატანას.

⁴³საშუალოდ 61%.

5.2 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2011 წლის 1 იანვრიდან შემცირებულია 275 ათასი ლარით და 2013 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 4,287 ათასი ლარი. მთლიანი კრედიტორული დავალიანების 98.3% წარმოადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ-ების (ძირითადად ბიუჯეტის გადასახდელებზე) და ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის დავალიანებებს, რომელიც შეადგენს 1,222 ათას ლარს (ლიკვიდირებულია 2003 წლიდან).

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 1,538.4 ათასი ლარის (მთლიანი დავალიანების 36%) კრედიტორული დავალიანება მომდინარეობს 1996-2006 წლებიდან.

მხარჯავი დაწესებულებების უმრავლესობას ერიცხებათ სახელფასო დავალიანებები, რაც მთლიანი კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. იუსტიციის სამინისტროს ამ კუთხით ერიცხება 921.5 ათასი ლარის დავალიანება (მათ შორის გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი - 115.7 ათასი, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები - 323.8 ათასი და შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები - 482 ათასი ლარი). სამინისტროსაბიუჯეტო განაცხადის წარდგენის დროს არ ითვალისწინებდა აღნიშნულ დავალიანებებს და არ ახდენდა მისთვის დაწესებული გადასახდელების ზღვრული ოდენობის ფარგლებში ასიგნებების განაწილებას ვალდებულებების კლების მუხლში. ასევე, არ ხორციელდება სამინისტროსთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება წარმოშობილი ეკონომიის შემთხვევაში ასიგნებების დავალიანებათა დასაფარავად. სახელფასო დავალიანებების შემცირება წარმოებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებათა დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხის გაცემით (2013 წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდიდან სამინისტროს სახელფასო დავალიანებების დასაფარად მიმართულია 82.3 ათასი ლარი (მ/შ- პროკურატურაზე - 27.8 ათასი ლარი)). წინა წლების სახელფასო დავალიანებების დაფარვისას (გაცემისას), შესაბამისი საშემოსავლო და გაუქმებული სოციალური გადასახადი ისევ ირიცხება კრედიტორულ დავალიანებად.